№ 75 **სახალხო გაზეთი** № 75

ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
**სახალხო გაზეთი**
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
**სურათებიანი დამატება**
**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.
******ხელის-მომწერთა საყურადღებოდ******
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.**

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**
სახალხო იაფ ფასიანი წარმოდგენა
შაბათს, 7 აგვისტოს ქართული დრამატიული საზოგადოების მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება:
I
**ძველი და ახალი თაობა**
კომედია 4 მოქმედებად.
II
**დიდი დივერტისმენტი**
რომელშიაც მსახიობთა გარდა მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი **მგოსან-მწერლები.** ადგილების ფასი 5 კ.-დან 50 კ.-მდე. დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი 8 ნახევარ საათზე.
რეჟისორი **ზ. საფაროვი.** გამგე **დ. მგალობლიშვილი.** (3—2)

**დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე**
(„**ნაკადულის" პრემია**).
შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

**მეელი სენაკის სათ.-აზნაურო ქართული სკოლის**
საბჭო ამით აცხადებს, რომ ყმაწვილების მიღება ხსენებულ სასწავლებელში დაიწყება ამ წლის 25 აგვისტოდან.
თხოვნები სკოლის გამგის სახელობაზე და მოწმობები ყმაწვილების წლოვანების შესახებ მიიღება 25 აგვისტომდე და შემდეგაც.
მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლის ფასი პირველ ორ განყოფილებაში შესამჩნევად დაკლებულ იქნება.
სკოლაში კურს დამთავრებულნი პირდაპირ გადადიან **ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის 1-ლ კლასში.** (4—ნ.—3)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
**გ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ა. მოპოვი**—ყელ., ყურ. ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
**ი. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—406)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.
**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ... პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მცლავათ. საფასურით. (200—ნ.—245)

**დ. სახჩერე**
**აკაკი წერეთლის**
სახელობაზე დაარსებული უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს
**გამგეობა**
ამით აცხადებს, რომ პარასკევს დილით, ექვსს ამა აგვისტოს, დ. სახჩერეში გაიმართება
**ლატარია-ალეგრა**
ხსენებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ. ფასი ბილეთებისა 50 კ. უნივთო ნომერი არ არის. დასაწყისი დილის 10 საათიდან.
(3—365—2) გამგე **კნ. ნ. ა. წერეთლისა.**

გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში
მიიღება ხელის მოწერა
**5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე**
**დავით კლდიაშვილის**
**სრულ თხზულებაზე**
(ავტორის სურათით).
თხზულება დაიბეჭდება **კარგ ქაღალდზე** ორ ტომად. თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. **ივ. გომართელის და კიტა აბაშიძის** კრიტიკული წერილი. ხელის მოწერთათვის ორივე ტომი ეღირება **ექვსი აბაზი**
5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.
**ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება**
აგენტებს ვსთხოვ ფული გზავნონ შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.
უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе. (15—2)

**მე, მოჭიდავე რაზინი,**
ვიწვევ საჭიდაოთ კავკასიის ჩემპიონს
**პულა გლდანელს.**
ჭიდაობა კავკასიური და საბოლოო გადაწყვეტილი: იმ პირობით კი, რომ არავინ არ ჩაერიოს საქმეში, სანამ არ გათავდება ჭიდაობა. კვირას რომ იყო ჭიდაობა გლდანელისა და პეტერსონისა—ხალხი ჩაერია და საშუალება არ მისცა მოჭიდავეთ, საქმე დაებოლოვებინათ. (1—368—1)

**სამკურნალო**
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.
**ხარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.
**გნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
**ხუდაბაშევი**—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.
**აბვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
**ვესილოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ,
**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
**მიკირტუმოვი** დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.
**ი. მ. ახშახოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—82)

**ექიმი მ. ს. არჯევანიძე**
**ქუთაისში.**
იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—გ.—19)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—179

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი**
**ქუთაისში**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—ნ.—42)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის **სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—118)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩნის ქ., № 9. (უ)

**დაბა ხონში**
**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების**
**წიგნის მაღაზიაში**
იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკომისიოდ ღებულობს წიგნებს და კისრულობს გამომცემელთა ამხანაგობას.
მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს სამოსწავლო წლისათვის საჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება.

**ქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში
მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კიროჩნის და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69.
მარჯვენა ზემოთი ხარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

## ტფილისი, 5 აგვისტო

ბევრი საკითხის აღძვრას მხოლოდ მაშინა აქვს მნიშვნელობა, როდესაც იგი თავის დროზეა აღძრული. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. მაგრამ, რადგანაც „ახალმა გზამ" აღძრა საკითხი და, როგორც ეტყობა, კამათის გაგრძელებასაც აპირებს, ჩვენც იძულებულნი ვართ გამოვეპასუხოთ და დაუმტკიცოთ, რომ თუთიყუშივით გაზეპირებულ შაბლონურ ფრაზებით რთული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია.

კამათი ისევ ეროვნულ საკითხის გარშემო სწარმოებს. მხოლოდ იგი თეორიეტიულ მსჯელობის სფერიდან პრაქტიკულ ცხოვრებაშია გადმოტანილი: ამით თვით საკითხიც კონკრეტულ ხასიათს იღებს და გადაწყვეტა თუ არა, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების ნათელი წარმოდგენა მაინც უფრო ადვილი ხდება. დიპლომატიურ სამოსელში ამ შემთხვევაში ვერ გაეხვევი. მშრალ პრინციპიალურ მოსაზრებებით ვერ ჩააბნელებ იმ რეალურ ურთიერთობას, რომელიც სხვა და სხვა ერთა შორის არსებობს.

საკითხი ქალაქ ტფილისის თვითმართველობის გარშემო ტრიალებს. „ახალი გზა" ამტკიცებს, რომ სომხები ქალაქის თვითმმართველობაში არავითარ ნაციონალურ პოლიტიკას არ ეწევიან, რომ მათი ნაციონალური პოლიტიკა მხოლოდ თვალთმაქცობაა, ნამდვილად კი ისინი მხოლოდ ბურჟუები არიან და ბურჟუაზიულ გულის ზრახვაია განხორციელებაზედაც ზრუნავენო. გაზეთის საზოგადოდაც კი არა სწამს, რომ ბურჟუაზია ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებს. „უნდა გამოვტყდეთ, ამ საქმეში ცოდვილნი ვართ. არა გვწამს ბურჟუაზიისაგან ეროვნულ ინტერესების დაცვა და რომ ამაში ჩვენ განსხვავდებით „სახალხო გაზეთიდან"—ეს ყველამ იცის და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთო.

ამ რიგად, ჩვენ წინ საკითხი ამნაირადაა დაყენებული: 1) აწარმოებენ თუ არა სომხები საზოგადოთ და ტფილისის თვითმმართველობაში ეროვნულ პოლიტიკას და 2) თუ აწარმოებენ, რა მნიშვნელობა აქვს ამ პოლიტიკას ხალხის მასისთვის, მართლა მარტო ბურჟუაზიისთვის არის იგი ხელ საყრელი, თუ მშრომელი მასსაც არის მასში დაინტერესებული.

სომხები ქალაქის თვითმართველობაში ფრიად თვალ-საჩინო ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ. ამას მხოლოდ ის ვერ დაინახავს, ვისაც თვალებზე ბისტი აქვს გადაკრული. ნაციონალურ პოლიტიკის მწარმოებელი ქალაქის თვითმმართველობაში სომხის საზოგადოების ბურჟუაზიული ნაწილია, რადგანაც დღევანდელი მახინჯი საარჩევნო უფლება ბურთსა და მოედანს ბურჟუაზიას უტოვებს. ძლიერი ბურჟუაზია ქალაქში სომხებსა ჰყავთ და ქალაქის ბატონ-პატრონებათაც ისინი არიან გადაქცეულნი. ისინი იყვნენ ქალაქის პატრონებათ წინა წლებშიაც, როდესაც სომხის ეროვნული ცხოვრება ქალაქში სრულიად არა სჩანდა, როდესაც სომხის ერი ქართველთა ერის კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. იყო დრო, როდესაც სომხებმა სომხური ენა არ იცოდნენ და კიდეც ეთაკილებოდათ სომხური ლაპარაკი. ჩვენ სანიმუშოთ არ ვიგონებთ იმ დროს, ეხლაც იგი მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ მკითხველისათვის დაგვენახვებინა, რამდენად განვითარდა და წინ წავიდა შედარებით მოკლე ხანში სომხეთა ეროვნული ცხოვრება. დღეს ამას ველარსად შეხვდებით. სომეხი სომხათა გრძნობს თავსა და ამაყობს თავის სომხობით. უწინ თუ სომეხი მარტო ქართულად დაგელაპარაკებოდა, დღეს მარტო სომხურს გაიგონებ იმისაგან. ასეთი ცვლილება თავის-თავად არა ხდება.

ასეთი ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სომხები ყველგან და ყოველთვის ნაციონალურ ინტერესებს იცავენ. ტფილისიც უკან არ ჩამორჩებოდა ამ ნაციონალურ მოძრაობას. ბედმა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, რუსეთის ცხოვრების უბედობამ, ბატონ-პატრონობა ქალაქისა ჩაუგდო სომხებს, როგორც შედარებით უფრო ძლიერ ბურჟუაზიის მქონე ერს. სომხებმაც ისარგებლეს თავისი მდგომარეობით.

„ახალი გზის" წარმოდგენით, ბურჟუაზიისათვის ქართველი და სომეხი არ არსებობს. მისთვის სულ ერთია, ვისაც გააძრობს ტყავს, ოღონდ ტყავის გასაძრობი ობიექტი კი ჰყავდეს. მართალია „ახალი გზა" ფრიად მეცნიერულ გზას ადგია, მაგრამ ქალაქის თვითმმართველობის „ბურჟუაზიამ" ისევ სომხის გატყავება ამჯობინა და მეფარნეებად სულ სომხები დანიშნა. იქნება ესეც სომხებს უკიდურეს ინტერნაციონალისტობით მოსდით?—თუ გატყავებაა, სხვას რას ვერჩი, ისევ ჩემი გავატყავოო!

ადვილად შესაძლებელია ასე იყოს, მაგრამ ჩვენ, ცოდვილთ სულ სხვანაირათა გვგონია. აქ ნაციონალური პოლიტიკაა და არა ალტრუისტური გრძნობები სხვა ეროვნებისადმი. აიღეთ ქალაქის ცხოვრების სხვა მხარეები: ექიმები, ინჟენერები, ქალაქის სხვა მოსამსახურენი,—ყველა ესენი ვინ არიან, თუ არა სომხები? გაუჩნდება რაიმე სამუშაო ქალაქის თვითმმართველობას, ამ სამუშაოს უსათუოდ სომხები ეპატრონებიან. ვიმეორებთ, ეს იმდენად ცხადია ყველასათვის, ვინც კი ძალათი არ იბრმავებს თვალებს, რომ ამაზე ლაპარაკის გაგრძელება მეტად მიგვაჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ სომხები ქალაქის თვითმმართველობაში აშკარა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ, უმეტეს შემთხვევაში ისინი ინტერნაციონალურ სამოსელში ეხვევიან ხოლმე. აიღეთ, თუნდა, რუსულ ასოებით დაბეჭდილი სომხური გაზეთი „ტიფ. ლისტოკი". რამდენჯერ დაუბეჭდია მას „ინტერნაციონალური" წერილები თავის ფურცლებზე და რამდენჯერ უქადაგია ქართველებისთვის, ნაციონალისტები ნუ ხართო. აი, სწორეთ ამაზე იტყვიან, ჩემი შენ გითხარ—გული მოგიკალიო. ჩვენს თავს ნებას მივცემთ და გავიხსენებთ, როგორ მოიქცა ხაჩატუროვის გაზეთი მეორე სათათბიროში არჩევნების დროს. მაშინ მან გამოაცხადა, სციალ-დემოკრატების წერილებს ჩემს გაზეთში ადგილს დაუთმობო. გაზეთი ინტერნაციონალურს სამოსელში ეხვეოდა და ნამდვილად კი ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებდა. ავიღოთ თვით ქალაქის თვითმმართველობა. რომელმა ქართველმა ნაციონალისტმა" მოისურვა ქალაქის თვითმმართველობაში სამსახური, ან როდის იყო, რომ ასეთს ქართველებს ქალაქის თვითმმართველობის მესვეურნი სამსახურში იღებდნენ? მათ

კავშირი ჰქონდათ დაჭერილი „ქართველ ინტერნაციონალისტებთან“, რადგანაც მათი ბეცი ინტერნაციონალისტობა მათთვისაც ძალიან ხელსაყრელი იყო. „ქართველი ინტერნაციონალისტები“ ნაციონალურ ინტერესებზე არაფერს იტყოდნენ და ქალაქის თვითმმართველობის ბატონ-პატრონთაც სრული საშუალება მიეცემათ ძველებურად ეწარმოებინათ თავიანთი სომხური ნაციონალური პოლიტიკა ამიტომაა, რომ თუ ქალაქის თვით-მმართველობაში ქართველი მსახურობს, უმეტეს შემთხვევაში კი „ინტერნაციონალისტია“. მაგრამ რამდენიც უნდა იყვირონ ქალაქის მესვეურებმა თავიანთ ინტერნაციონალიზმზე, სინამდვილე, ეს ულმობელი მსაჯული, მაინც თავისას გვეუბნება და გვიმტკიცებს, რომ ეს ინტერნაციონალიზმი მხოლოდ გველის ლამაზი სამოსელია, რომლის ქვეშაც შხამიანი არსება იმალება. საბრალონი არიან ისინი, ვისაც ეს ჭრელი სამოსელი აბრმავებს და საქმის ნამდვილ ვითარებას უმალავს.

ჩვენ მძულვარებასა და ანტაგონიზმს არა ვქადაგებთ, მაგრამ არ შეგვიძლიან ანგარიში არ გაუწიოთ იმას, რაცა ხდება, არ შეგვიძლიან ნამდვილი სახელი არ უწოდოთ მოვლენას. სომხები ქალაქის თვითმმართველობაში სისტემატიურად ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ. ინტერნაციონალურ ჰანგებზე მღერა მხოლოდ დიპლომატიურის მოსაზრებით სწარმოებს. ვისაც სურვილი აქვს, დღე სადათას ძილს მიეცეს ამ დიპლომატიურის სიმღერის გავლენით, ჩვენ კი ყველაფერს ძალიან კარგათა ვხედავთ და მოვალედაც მიგვაჩნია ჩვენი თავი სათანადო მსჯავრი დავსდოთ ქალაქის მესვეურთა მოქმედებას.

„ახალმა გზა“-მ შეიძლება გვიპასუხოს, მართალია სომხის ბურჟუაზია, რომელიც სათავეში უდგას ქალაქის თვით-მმართველობას, ასე იქცევა, მაგრამ იგი ეროვნულ ინტერესების სამსახური არ არის, რადგანაც სომხის მშრომელი მასსა ამით არაფერს იგებსო. მართალია ეს აზრი, თუ არა, ამის შესახებ შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აგვისტო.

### საზღვარ-გარედ

**ბრიუსელი**. სასამართლოთა დადგენილებით გუშინ საღამოზე გამოფენა დაიხურა. გამოსასვლელი ადგილები ჟანდარმებმა და ჯარმა დაიჭირა გუშინ გამოფენას დაესწრო 93,000 კაცი გარდა სამუდამო ბილეთიანებისა. უკანასკნელ ცნობებით ცეცხლმა გაანადგურა 12 სახლი ავენიუ სოლბობის ქუჩაზე. ცეცხლისაგან განადგურებულის აღდგენა ყოვლად შეუძლებელია, სანამ სასამართლო არ გამოარკვევს ცეცხლის გაჩენის მიზეზს.

**ალექსანდრია**. საპატიმროში ოთხასმა პატიმარმა უწესოება მოახდინა. პოლიციამ წესიერება აღადგინა, მოკლულ იქნა ერთი და დაიჭრა ექვსი პატიმარი და რამდენიმე პოლიციელი.

**ბერლინი** ცეპელინის ექსპედიციის მთავარი მდივანი დეპეშით იტყობინება გამერფესტიდან, რომ ექსპედიცია დაბრუნდა შპიცბერგენიდან გემ „მაინცი“-თა და „ფენიკსი“-თ. დაათვალიერეს ყველა ნავთსადგურები 22 ივლისს პრინც ჰერიხი, გრაფი ცეპელინი და პროფესორი გერგეზელი აფრინდნენ ჰიბმულ აერო პლანით. ყველა მიზნები კარგად შეასრულეს. „მაინცი“ დაბრუნდება კილში აგვისტოს ნახევარში.

**ათინა**.. ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთის დიპლომატიურ შეკითხვაზე საბერძნეთის მთავრობამ უპასუხა რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს კრიტელების კანდიდატურა უარვყოთ. მაგრამ მთავრობამ მაინც აღუთქვა, ურჩევ კრიტელებს კანდიდატურაზე უარი სთქვანო. კანეიდან იტყობინებიან კანდიდატურაზე, აქ დარწმუნებულნი არიან, სახელმწიფოთა სურვილი შესრულებული იქნებაო.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ ტარიფის კანტორიდან. ისპანიის გემი დაეჯახა გერმანიისას და ჩაიძირა. 7 მეზღვაური და 32 მგზავრი დაიხრჩვნენ.

**ურმია**. მემამულეთა კრებამ დეპეშით ულტიმატიური გაუგზავნა მეჯლისს. აუწერეს ურმიის გაჭირვებული მდგომარეობა და განაცხადეს 15 დღის განმავლობაში გამოგზავნონ 10.000 თოფი, და ერთი მილიონი. პატრონა ან 200.000 მანეთი, წინააღმდეგ, შემთხვევაში დამოუკიდებლად მივიღებთ ზომებს თავის დასაცავადაო.

**სტამბოლი**. მოლაპარაკება ოსმალეთსა და სერბიას შორის ადრიატიკის გზის შესახებ დამთავრდა. განზრახვაა შეუერთონ სერბიის გზა ოსმალეთისას—კუმნოვისა და ეგრიპალანკის შუა. ბაღდადის გზის გერმანელთა კომპანიამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, ალბაზარ-გინჯირლის გზის კონცესიის შესახებ. ამ საკითხს სამინისტრო იხილავს.

**ათინა**. ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებმა 1 აგვისტოს გარეშე საქმეთა სამინისტროს მეგობრულის კილოთი ურჩიეს, უარ-ჰყავით კრიტელების კანდიდატურა, რომ ოსმალეთის უკმაყოფილება არ გამოიწვიოთო. ამასთან წარმომადგენლებმა შეატყობინეს, თუ ეს რჩევა არ იქნება სახეში მიღებული, ამ დღეებში სახელმწიფოები ოფიციალურად მიმართავენ და წინადადებას მისცემენ საბერძნეთის მთავრობას კრიტელები არ დაუშვას საბერძნეთის პარლამენტში.

### ჰაერში ფრენა.

**პეტერბურგი**. დილით გატჩინის ჰაეროდრომზე ავიატორი სეგნო სამჯერ მშვიდობით აფრინდა მგზავრითურთ. პირველად აფრინდა 8 წუთს, მეორედ 10, მესამედ 15; საშუალოდ აფრინდა 7 საჟენის სიმაღლეზე. სეგნოს შემდეგ აფრინდა პორუჩიკი კოგუტოვი ფარმანის სამხედრო ბიპლანზე ნახევარ წრეს შემოუარა, მაგრამ მატორის გაფუჭების გამო ჩავარდა არხში ერთი საჟენის სიმაღლიდან; დაიშავა ხელები და ფერდი კოკოჩოვი უგრძნობელი წაიღეს სამკურნალოში. ბიპლანისურ დამსხვრეულია, მატორი გაფუჭებულია.

### რუსეთი

**მოგილოვი**. ცეცხლისაგან დაზარალებულ მოგილოველ მცხოვრებთა დამხმარე მთავარს კომიტეტს სხდომა ჰქონდა. სხდომას თავმჯდომარეობდა გუბერნატორი. დაესწრნენ ეპისკოპოზი სტეფანე და მიტროფანე უწყებათა და ებრაელთა წარმომადგენელნი. მოგროვილი ფული განაწილებულ იქნა მართლ-მადიდებელთა და ებრაელთა კომიტეტებს შორის; შეიმუშავეს ხალხის დახმარების წეს-რიგი მიწათ მოქმედების გამგეობამ დაურიგა 13000 ცალი ხე სახლების ასაგებად. ფული კიდევ მოდის. გაჭირება დიდია.

**პოლტავა**. შეიპყრეს 6 ყაჩაღი, რომლებმაც სოფ. დუხოვში გაძარცვეს ეკლესია და ყარაული მოჰკლეს.

**ოდესსა**. დამტკიცებულია წესდება ოდესსელ მექარხნეთა და ფაბრიკანტების ახალ საზოგადოებისა. რომლის მიზანია—სამხრეთის მრეწველთა შეკავშირება „კრებათა საბჭოს“ მაგვარად. გამგეობა ოდესაში იქნება. საზოგადოებაში მონაწილეობენ ადგილობრივ მრეწველთა გარდა აგრეთვე ხუთი მოსაზღვრე გუბერნიის, დონის ოლქის და კავკასიის მრეწველნი.

**ვიატკა**. ნოლინის ერობის არაჩვეულებრივმა კრებამ დაადგინა სამართალში მისცეს ყველა წევრები საერობო გამგეობისა, რადგან გამგეობის თავმჯდომარემ პესტრიკოვმა ერობის ფული გაფლანგა.

**პეტერბურგი**. მიწათ-მოქმედების მთავარმა სამმართველომ 1911 წ., ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა 500000 მანეთის კრედიტი იმ პირობით, რომ კიდევ ამოდენა ფულს გადასდებენ ადგილობრივ საერობო თანხიდან. ამ ფულით გაუწევენ აგრონომიულ დახმარებას ციმბირის გლეხობას.

**ეკატერინბურგი**. გაიხსნა კრება სამთა-მადნო მუშაობის წარმოების წესის შესახებ. კრებაზე მონაწილეობენ სამთო ინჟენერები, ოქროს მრეწველნი, მთა-მადნის მრეწველნი და სამთა-მადნო გამგეობის მოხელენი.

**პეტერბურგი**. უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად სახალხო განათლების მინისტრს ნება მიეცა შეიმუშაოს პროექტი რუსეთის ახალგაზრდობაში შვედურ და ფინურ ენათა ცოდნის გავრცელებისა. შემუშავებული პროექტი წარედგინება დასამტკიცებლად სახელმწიფო სათათბიროს.

**მინსკი**. ნოვომიშკის კათოლიკეთა ეკკლესიის მღვდელმა განიჩმა ეპისკოპოზის მოსვლისა გამო გამოჰფინა პოლონური ბაირაღები. მთავრობის მოხელეებმა დაუშალეს, და რადგან მან არ აღასრულა ბრძანება, გუბერნატორის ბრძანებით ჯარიმა დაადეს 200 მანეთი, თუ ვინიცობაა არ გადაიხადა, მღვდელს 2 თვით ციხეში დააპატიმრებენ.

**მოსკოვი**. საგუბერნიო ერობას ასესხა 25,000 მანეთი მოსკოვში საბეითლო-ბაქტეროლოგიურ ლაბარატორიის მოსაწყობად.

**მოგილევი**. გორკაში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კურსები. მონაწილეობენ მრავალი სასოფლო სკოლების მასწავლებელნი.

**ვარშავა**. სადგურ ვარშავაში დილით რადგან ვერ იყო ისარი სწორედ გამართული, ლიანდაგს გადასცდა პეტერბურგიდან მომავალი სამგზავრო მატარებლის უკანასკნელი ვაგონი. დაშავდა 9 მგზავრი, ერთი სამკურნალოში გაგზავნეს. ლიანდაგი და ვაგონები ძალიან არ გაფუჭებულან.

### შავი ჭირი.

**ოდესა**. ოთხი დღის განმავლობაში ავად გახდა 11; ეჭვი აქვთ, რომ შავ ჭირიანები არიან; სენის დაწყებიდან ავად გახდა 16; საეჭვო არის 7, მორჩა 13, გარდაიცვალა 7.

**პეტერბურგი**. მიწათ-მოქმედების მთავარმა სამმართველომ გადასწყვიტა რათა ნივთიერად დაეხმაროს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათ და ერობების სასოფლო-სამეურნეო გამოფენათა მოწყობაში. წინადადება მისცა ამ დაწესებულებებს დროზე მიაწოდონ ხოლმე მთავარ სამმართველოს ცნობები შესახებ იმისა, თუ რა მიზნითა და რაოდენად ფართოდ მართავენ გამოფენას, დაწვრილებით აღნიშნონ რა თანხა აქვს გადადებული გამოფენის მოსაწყობად და რა თანხას ითხოვენ ადგილობრივ ქალაქებისა ერობების გამგეობათაგან.

### ხოლერა

**პეტერბურგი**. ერთი დღის განმავლობაში ავად გახდა აქ ხოლერით 62, გარდაიცვალა 18, საავადმყოფოში იმყოფება 820; ქალაქის სანიტარული კომისია ქალაქის მოურავის წინადადებით ხსნის ორ ახალს სახოლერო პუნქტს, სადაც მუდამ ექიმი და სანიტარი მორიგეობენ.

**ხარკოვი**. სამთომადნო მრეწველთა კრების საბჭოს კრებაზე წაიკითხეს მიმართვა ვაჭრობის სამინისტროისა რომელშიაც თხოულობს, რომ უფლებ[illegible]ში დახმარება აღმოუჩინონ [illegible] საზოგადოების ხალხს. კრებს არ გადაუწყვეტია საბოლოოდ საკითხი დახმარების რაოდენობის შესახებ, მხოლოდ პრინციპიალურად დახმარებაზე თანხმობა განაცხადეს აღმოუჩინონ ხოლერით დახოცილთა ობლებს.

**პეტერბურგი**. სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობები ხოლერის გავრცელების შესახებ: ეთის კვირაში მარიუპოლში და ახლო-მახლო სოფლებში ავად გახდა 125, გარდაიცვალა 35; ორლოვის გუბ. 120 ადგილას ავად გახდა 272, გარდაიცვალა 127. მოსკოვში ერთს დღეში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3; სმოლენსკში პირველად გახდა ერთი ავად; სენის დაწყებიდან ვორონეჟის გუბ. ავად გახდა 5641, გარდაიცვალა 2484, ამხახადა 1790. ალექსანდროვსკსა (ეკატერინოსლავის გუბ.) ახალ ბაქტერიალურ კამს მოკვლევით ცხადია ხოლერის ვიბრიონების მოსპობა.

სევასტოპოლის ქალაქის მართველობამ ხოლერის ბარაკის ექიმთა რიცხვი გაამრავლა და სანიტარები დაა[illegible]. რიაზანის საგუბერნიო ერობამ მაზრებში გაგზავნა კიდევ ორი ჯგუფი ხოლერასთან საბრძოლველად. ადესის სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიამ დადგენილება გამოსცა, რომელშიც სახლის პატრონებს უკრძალავენ დაითხოვონ სახლებიდგან ავადმყოფნი, რომელზედაც ეჭვი აქვსთ, რომ ხოლერით ან შავი ჭირით არიან ავად, სანამ ექიმი არ გასინჯავდეს ან წასვლა და სანამ საექიმო საადმინისტრაციო მოხელეები არ მოვიდოდნენ; ამ დადგენილების დამრღვეველნი, დაისჯებიან — სამი თვით დაპატიმრებენ ან და 300 მან. ჯარიმას გადაახდევინებენ. ხარკოვში მთავარ რწმუნებულის რეინის თავმჯდომარეობით თათბირი მოხდა, რომელსაც დაესწრნენ, ხარკოვის და ეკატერინოსლავის გუბერნიის უფროსები, წარმომადგენელნი უწყებათა, ერობათა ქალაქებისა, ხარკოვის, ეკატერინოსლავის, ხერსონის, ვორონეჟის გუბერნიების და დონის ოლქის მთა-მადნის მრეწველთა—მოხსენებამ გამოარკვია, რომ ამ რაიონში სნეულთა რიცხვი აღემატება 50,000, ერობანი და მთა-მადნის მრეწველთა საბჭო ყველა ღონისძიებას ხმარობენ სენთან საბრძოლველად რეინის ხელში, [illegible] ჯგუფები იგზავნებიან იმ ად[illegible]

# შეურაცჰყოფა

(ნამდვილი ამბავი)

ა. კუპრინისა.

(გაგრძელება *)

— ეხლა, განაგრძო ორატორმა,—მე თქვენ გიჩვენებთ ერთი ჩვენი ამხანაგის ხელოვნებას, რომლის დახმარებით ივი ჯიბეებს აცალიერებს თეატრებსა და ვაგზლებში.—იგი ჯერ სულ ახალგაზრდაა, მაგრამ, თუ დააკვირდებით მის მუშაობას, ადვილად მიხვდებით, რამდენად გაიწაფება იგი; თუ მეცადინეობას არ უღალატა... იაშა!..

შავგვრემანი ახალგაზრდა, ლურჯ ხალათში და გალაქულ ფეხსაცმელებში, თამამად წამოდგა წინ და ორატორს ამოუდგა გვერდში; ამავე დროს ხელში ქამრის ფოჩებს ათამაშებდა და შავ-თვალებს უშვერად ჰკიტავდა.

სერთ-უკოსანმა თხოვნის კილოთი მიმართა კრებას.

— ბატონებო... მე იძულებული ვარ გთხოვოთ... იქნება რომელიმე თქვენთაგანმა ინებოს. გარწმუნებთ, ეს სამაგალითო იქნება.

თვალი მოავლო. პატარა ბურთისავით დარგვალებული შავი ყარაიბი წინ წამოდგა.

— მე თქვენ ხელთა ვარ—სთქვა მან დაცინვით.

— იაშა!—დაუქნია თავი ორატორმა.

იაშა ადვოკატს მიუახლოვდა. ეხლა მას მოღუნულ მარცხენა ხელზე გადაკიდებული ჰქონდა ბრწყინვალე, კუბო კრული ბალდადი.

— თუ მაგალითად ეკლესიაში ან თეატრში იქმენით, რა ნივთები გექნებათ? თავდაპირველად საათი ძეწკვით, რომელსაც ზოგნი ჟილეტის ზედა ჯიბეში ატარებენ და ზოგნი—ქვედა ჯიბეში. საფულეს ჩვეულებრივად შარვლის ჯიბეში ინახავენ. იშვიათი თუ ჩაიდებს პიჯაკის ჯიბეში, საფულეს შემდეგ—პორტსიგარი, უკანასკნელი შეიძლება იყოს შვიდ ჯიბეში—აქ, აქ, აი აქ და იქ. ასე არ არის? ამის დაგვარად ვმოქმედობთ.

ამ ლაპარაკის დროს, ახალგაზრდა ქურდი იღიმებოდა, თვალებში უყურებდა ადვოკატს და მარჯვენა ხელის მოხერხებული მოძრაობით უჩვენებდა ტანისამოსის სხვა და სხვა ადგილს.

— ყურადღება შეიძლება მიიქციოს ქინძისთავმაც აქ, გალსტუკში, მაგრამ მას ჩვენ არ ვეტანებით, რადგან იშვიათად თუ ვისმეს აქვს ძვირფას თვლიანი. ამ მოსაზრების შემდეგ ვუახლოვდები და ჩემგან მიზანში ამოღებულს ვეუბნები: ნება მიბოძეთ პაპიროსს ცეცხლი მოუკიდო, ან სხვა საგანზე დაუწყებ ლაპარაკს. პირდაპირ თვალებში ვუყურებ და ამ დროს ჩემი ორი თითი, აი ეს და ეს, მუშაობენ.

იაშამ სახელოსთან მიიტანა მარჯვენა ხელის ორი თითო, სალოკი და შუა აათამაშა.

— ხედავთ? აი ეს ორი თითია რაც არის. საქმე რთული არ არის. კაცი, თუ სულ გამოტვინებული არაა, ადვილად შეისწავლის. სულ უბრალო საქმეა. მშვიდობით იყავით.

ქურდი ადვილად მოტრიალდა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

— იაშა!—საყვედურით და დიდმნიშვნელოვანად უთხრა სერთუკოსანმა. ი-აშა! განიმეორა მან სასტიკად.

იაშა შესდგა. იგი ადვოკატთან ზურგ მობრუნებული იდგა, მაგრამ როგორც ეტყობოდა იგი მჭერმეტყველურად ეხვეწებოდა თვალებით თავის წარმომადგენელს, რადგან უკანასკნელი შუბლ შეკრული უარის ყოფის ნიშნად თავს იქნევდა.

— იაშა!—მესამედ მუქარის კილოთი წარმოსთქვა მან.

— ეჰ, უსიამოვნოდ წამოიყრანტალა ახალგაზრდა ქურდმა და ადვოკატისკენ მობრუნდა. სად არის თქვენი საათი, ბატონო?

— ჰა! გაიკრა მან ჯიბეს ხელი.

— ხომ ხედავთ!—განაგრძო იაშამ. თქვენ ჩემს მარჯვენა ხელს არ აცილებდით თვალსა, და ამ დროს მარცხენა ხელით საათი ამოგაცალეთ. რადგან ძეწკვი, რომელიც უთუოდ რომელიმე მამზელმა გიფეშქაშათ, იაფ-ფასიანია და საათი ძვირფასი, უკანასკნელი ამოგაცალეთ და ძეწკვი-კი სახსოვრად დაგიტოვეთ. ინებეთ—გაუშვირა საათი.

— კარგათ მოგიხერხებიათ, სთქვა შერცხვენილმა ადვოკატმა მე არცკი შემიმჩნევია.

— ჩვენი ხელობაა,—ამაყად განაცხადა იაშამ და დაბრუნდა თავის ამხანაგებთან.

ამ დროს ორატორმა ჭიქას მოჰკიდა და განაგრძო.

— ეხლა, მოწყალეო ხელმწიფენო, შემდეგი ჩვენი თანამშრომელი გაჩვენებთ რამდენიმე ჩვეულებრივ თვალთ-მაქცობას სათამაშო ქაღალდით; ამგვარი თვალთ-მაქცობა გავრცელებულია იარმუკებზე, გემებზე და რკინის გზებზე. სამი კარტის დახმარებით, მაგალითად ტუზით, ქალით და ექვსიანით, იგი შესძლებს... უკაცრავად, იქნება თავი შეგაწყინეთ?

— არა, საინტერესოა,—მორიდებით უპასუხა თავმჯდომარემ.—მე მინდოდა მარტო მეკითხა, თუ ეს მოუხერხებელი არ არის, თქვენ თითონ რა საქმეს ადგიხართ.

— ჩემი... ჰმ... მოუხერხებელი აქ არა არის-რა... მე ვმუშაობ ბრილიანტის დიდ მაღაზიებში და ბანკებში, სათნოიანი ღიმილით უპასუხა ორატორმა.—არა, თქვენ ნუ იფიქრებთ, რომ ჩემი ხელობა სხვაზე ადვილი იყოს. საკმაოა მოგახსენოთ, რომ მე ვიცი ოთხი ევროპიული ენა: გერმანული, ფრანგული, ინგლისური და იტალიური, გარდა პოლონურისა, უკრაინულისა და ებრაულისა. მაშ რას იტყვით ბატონო თავმჯდომარევ, განვაგრძოთ ჩვენი დემონსტრაციები თუ არა?

თავმჯდომარემ საათში ჩაიხედა

— სამწუხაროთ, დრო ცოტა დაგვრჩა. ის არ ემჯობინება, რომ თქვენ საქმეს შევუდგეთ? მით უმეტესად, რომ მაგალითები, რომლების მოწმენი ეს არის ეხლა ჩვენ ვიყავით, საკმაოდ გვარწმუნებენ, რამდენად მოხერხებულად მოქმედებენ თქვენი პატივცემული კოლეგები არა ისააკ აბრამის ძევ!

— დიაღაც! დაატასტურა ადვოკატმა კარაიმმა.

— მაშ კარგი, დაეთანხმა სერთუკოსანი ჯენტლმენი. გრაფ, მიმართა მან ხუჭუჭა ქერა ამხანაგს, რომელიც მარკიორს წააგავდა—შეინახეთ თქვენი სახელი—საჭირო აღარ არის. მე ბატონებო, რამდენიმე სიტყვა დამრჩა საცქმელი. ეხლა, როცა თქვენ დარწმუნდით, რომ ჩვენი ხელობა, რომელსაც უმაღლესი პირნი არ სწყალობენ, მაინც ხელობაა, როცა, იქნება კიდევაც დარწმუნდით, რომ იგი ხელობა ითხოვს პირად ღირსებას, გარდა მუდმივ შრომისა და ხშირ უსიამოვნებისა, თქვენ დარწმუნებული ვარ, იმასაც დაიჯერებთ, რომ ჩვენმა ხელოვნებამაც შეიძლება კიდევაც გაიტაცოს კაცი და თავი შეაყვაროს მას, თუმცა ბევრთათვის ეს იქნება გაუგებარიც იყოს. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ რომ ცნობილ ნიჭიერ პოეტს, რომლის პოემები და ლეგენდები ამშვენებენ საუკეთესო ჩვენს ჟურნალებს, წინადადება მისცეს, რომ მან დასწეროს სამ კაპეიკად სტრიქონი, რეკლამა პაპიროსის კოლოფზე მოსათავსებლად? ან რომელიმე თქვენგანს, ბრწყინვალე ადვოკატებს, ცილს დასწამებენ, რომ თქვენ ხელს უწყობთ ცრუ-მოწმობას? ეჭვი არ არის, თქვენი ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები ირ დაიჯერებენ ამას, მაგრამ ხმა გავრცელდა და ეს საკმაოა, რომ მოიწამლოთ. ეხლა კი წარმოიდგინეთ, რომ ასეთი სათაკილო ცილისწამება, ვისგანაც უნდა იყოს გავრცელებული იგი, ჩირქსა სცხებს არა თუ თქვენს სახელს, არამედ ეხება თქვენს თავისუფლებას, თქვენს ჯანმრთელობას და ასე გასინჯეთ, თქვენს სიცოცხლეს.

სწორედ ასეთს მდგომარეობაში ვართ ჩაცვივნული, ჩვენ, ცილდაწამებული ქურდები. არსებობს ერთ გვარი არაკაცები passez moi le mot — რომელთაც ჩვენ დედის ნებიერთ ვუწოდებთ და სამწუხაროდ, ჩვენ მათ გვადარებენ. ისინი არიან უსვინდისონი და უსირცხვილონი, ზარმაცნი, უხერხულნი და მუქთა ხორანი. იმათ არაფერი დაუშლით, რომ საყვარელი როსკიპის ხარჯზე იცხოვრონ, ისინი არ მოერიდებიან ბავშვი გაცარცვონ ბნელ ქუჩაში სამი კაპეიკის გულისთვის. იგი სიცოცხლეს გამოასალმებს მძინარეს, და მოხუცებულის წამებასაც კი არ მოერიდება. აი ესენი არიან, რომ ჩვენს ხელობას ჩირქსა სცხებენ. ისინი ჩვენ ნამდვილსა და მოხერხებულ ქურდებს თვალ-ყურს გვადევნებენ, როგორც ტურა-ლომს. წარმოიდგინეთ მე დიდი საქმე გავაკეთე. გარდა იმისა, რომ ნივთებისა გაყიდვის ან ბილეთების განაღდების დროს ჩარჩების ხელში რჩება მოგების ორი მესამედი გარდა იმ ხარჯისა, რომელიც მოგვდის ვითომდა მოუსყიდავი პოლიციისათვის. იძულებული ვარ ვუწილადო ერთი ნაწილი ამ პარაზიტებს, რომელთაც შემთხვევით გაიგეს ჩემი საქმის ამბავი ფულს ვაძლევ მარტო მისთვის, რომ საქმის გარემოება იცის და შეიძლება დამასმინოს. უფრო ხშირად ისა ხდება, რომ ეს პარაზიტები თავის წილს მიიღებენ ხოლმე და მაშინვე წაცუნცულდებიან პოლიციაში დასასმენად, რომ ზედმეტი ხუთი მანეთი მიიღონ. ჩვენ პატიოსანი ქურდები ვართ... დიაღ, დიაღ, იცინეთ ბატონებო, მაინც ვამბობ, რომ ჩვენ პატიოსანი ქურდები ვართ და გვეზიზღებიან ის ქვემძრომნი. ეს გარეწარნი სიამოვნებით მიიღებენ პოგრომში მო-

*) იხ. „სახ. გაზ.“ N 69.

...რაზში სადაც ნაკლებად მოიმოვები-...ამები და სანიტარები, და სადაც ...ყველაზე ძლიერ მძვინვარებს.

## ...ხალი ამბები

### ტფილისი

**სენატორ ვატაცის ქუთაის ...ასვლა.** კვირას, დილის 7 საა-... ქუთაისს წავიდა სენატორი ...კი და დილის 10 საათზე ინა-... ვაგზალზევე ადგილობრივი ...ლეობა, რომელნიც ქუთაის ...ნატორის გენ.-მაიორ. ა. ი. ...ჩინსკითურთ მას ეახლნენ. ...აგვისტოს იგი სვანეთს გაემ-...ა.

**...წყლის მილი დილომში.** ...მის სოფლის საზოგადოებამ ...ნით მიმართა ინჟინერ გ. ზ. ...იანს შეედგინა მისთვის წყლის ...ს გეგმა; ბ. ქურდიანმა შე-...ნა ორი გეგმა; დილმელებს ...ილავთ ორივე და მოსწონე-...ის გეგმა, რომლითაც წყლის ...დაჯდება 8000 მანეთი და ...ი მიაწვდის არა ნაკლებ 10000 ... წყაროს წყალს. დილომის ...გალოებაში ირიცხება 5000 ...ზე მეტი, ისე რომ წყლის მი-... ხარჯად თითო სულს ორი ...იც არ მოჰხვდება. ამასთანავე ...ათ მუდამ კარგი, სალი წყა-... წყლის მილის გამართვის ...ი მთელ ტფილისის გუბ. მოს-... და ამჟამად ინჟ. გ. ზ. ქურ-... მრავალი თხოვნა მოსდის ...ის საზოგადოებათაგან, რომ ...ც შეუდგინოს წყლის მილის ... თხოვნა იმოდენა მოს-... რომ თითონ ველარ ასდის ...ობას, ბ-ნ ქურდიანს თანაშემ-...უწევვია.

**...ექსკურსიები.** მოსკოვის ექს-...ა, რომელსაც ჰხელმძღვანე-...ს პრივატ-დოცენტი ხალმო-...ი, უკან, მოსკოვს, ბრუნდება ... მარიამობისთვეს მატარებლით ...ს. გზის ფასი მიიღება ცამეტიდან ...საღატ მარიამობისთვემდე შუა-... 4—5 საათამდე ბ-ნ ვ. ი. ბარ-...ესთან — დიდუბე, საგურამოს ...0, სახლი № 20, ბინა ანიშჩუკი-... პეტერბურგის ექსკურსია ბესტუჟე-...კურსების მსმენელთა ქალაქიდან ...მგზავრება ბათომს ... მარიამობის ..., საღამოს 7 საათსა და 30 წუ-თზე. ჩარიცხვა და ფულის შეტანა (2 მ. 30 კ.), შეიძლება ქ-ნ იანოვსკისას 1—3 საათამდე, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი № 76 (ალაყაფის კარებს ჩამოურეკეთ). პეტერბურგის საექიმო ქალთა ინსტიტუტის მსმენელთა ექსკურსია პეტერბურგს გაემგზავრება 25 მარიამობისთვეს. უკანასკნელი ვადა ფულის შესატანად (6 მ. 50 კ.) 12 მარიამობისთვეს. განზრახული მოგზაურობა ყირიმზე აღარ იქნება. იგივე ექსკურსია 15 მარიამობისთვეს მიემგზავრება ანსა და ეჩმიაძინს. მიმოსვლის ხარჯი 3 მანეთია, ცნობების მიღება და ფულის შეტანა შეიძლება ორთავე ექსკურსიის გამგესთან ქ. ვანანადიანისას (პუშკინის ქუჩა სახლ. № 11, შინ. № 4) მოსკოვის ექსკურსია. ექსკურსია მოსკოვიდან 15 მაისს რომ გამოემგზავრა მოსკოვიდან უკანვე ბრუნდება 20 ამ თვეს, ფულის შეტანა (5 მ.) შეიძლება ათ მარიამობისთვემდე. ადრესი: დაბა მანგლისი, ტფილისის გუბ. ივანე გიორგის ძეს ტერ-სემინოვს. კიევის ექსკურსია, კიევის უნივერსიტეტის სტუდენტთა ექსკურსია მიემგზავრება კიევს 25 მარიამობისთვეს. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება 15 ამ თვიდან სტუდ. ვ. თ. მაროოვისაგან აქ, ტფილისში სვიატოპოლკ-მირსკის ქ. 1. № 18. იურევის უნივერსიტეტის სტუდენტთა ექსკურსია ა. პენკოსლავსკის ხელმძღვანელობით მიემგზავრება 19—20 ამ თვეს ცნობების მისაღებად მიმართეთ სტუდ. ი. დ. გულისოვს „ტიფ. ლისტ." რედაქციაში შიადლის 11—1 სათამდე.

**სახალხო სახლთან.** არსებულ სამკითხველოში 1 მკათათვემდე ყოფილა 32.598 მკითხველი; რომელთაც მოუთხოვნიათ 16.865 წყვილი წიგნი; სახლში კი წაუღიათ 5.073 ცალი.

**სამაზრო მეთვალყურეთ.** ქ. ტფილისისა და ტფილისის მაზრის საეკლესიო სამრევლო სასწავლებლების მეთვალყურე გარდაცვალებულ მღ. ვ. სლაბოდნიკოვის ადგილას დაინიშნა ნაძალადევის ეკლესიის დეკანოზი მ. მახათაძე.

**მოსავალი.** გაზეთ „კავკაზის" ცნობებით, გორის, ტფილისის და დუშეთის მაზრებში სეტყვისა და ყინვების გამო ხილის მოსავალი ცუდი ყოფილა; პურის მოსავალი დუშეთისა და გორის მაზრებში კარგი ყოფილა; სიმინდი ბევრს ადგილას სეტყვას წაუხდენია; ბალახიც კარგად მოსულა.

**ბამბის მოსავალი.** გაზეთ „კავკაზის" სიტყვით ამ წელიწადს ამიერ კავკასიაში ბამბის მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს. ერთობ კარგ მოსავალს მოელიან განჯის გუბერნიაში.

**მეფუტკრეობა.** ერევნის გუბერნიაში, ალექსანდროპოლის მაზრაში მეფუტკრეობამ ძალიან ახეირა პატრონები: ფუტკარმა კარგად იბარტყა; თითო სკაზე ფუტკარმა მოკრიფა საშუალოდ ერთიდან ორ ფუთამდე თაფლი. მეორე დიდ სამეფუტკრეო რაიონში მდ. დებედა-ჩაის ხეობაში (ბორჩალოს მაზრა, ტფილისის გუბ.) და სოფ. დიდ კარაკლისში (ალექსანდროპოლის მაზრაში ერევნის გუბ.) უხეირო საშოვრის წყალობით ფუტკარმა ძალიან ცოტა თაფლი მოკრიფა: თითო სკაზე 5—15 გირვანქა, ძალიან ძვირად თუ ათი გირვანქა.

**წიფელი ჩვენში.** ფასანაურის ტყის გამგე ი. ი. ზაკტრეგერი ამხანად სცდის გამოდგება თუ არა ჩვენებური წიფელი ბოჭკების მასალად. საქმე იმაშია, რომ ამხანად ციმბირის სარძევე ამხანაგობათა კავშირი დიდძალ კარაქს ეზიდება სამზღვარ გარედ; კარაქს გზავნიან წიფლის ბოჭკებით; ბოჭკებისათვის საჭირო მასალას, წიფელს, კი ეზიდებიან სამზღვარ გარეთიდან, სახელდობრ ავსტრო-ჰუნგრეთიდან; ჩვენებური წიფელი რომ გამოდგეს მასალად ჩვენში გაჩნდება ახალი დარგი მრეწველობისა—საბოჭკე წიფლის წარმოება, რაიც ადგილობრივ ხალხს ბევრს სიკეთეს შეჰმატებს, რადგან ჩვენში ყველგან მრავლად მოიპოვება წიფელი. მით უმეტეს რომ დიდ ძალ წიფელს ეზიდება ციმბირის მერძევეთა ამხანაგობათა კავშირი.

**მერძეობის ინსტრუქტორები.** მერძეობას ჩვენში დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე მთაში კაი ხანი იყო საჭირო ადგილობრივ მცოდნე პირთა გაგზავნა, მათ ხალხისათვის შეესწავლებინათ გაუმჯობესებული წესები მერძეობის წარმოებისა. მერძეობის ოსტატი ე. ვ. კარბელაშვილს, დავალებული ჰქონდა ეჩვენებინა დუშეთის და თიანეთის მაზრების მცხოვრებთათვის მერძეობის წარმოების გაუმჯობესებული წესები. რადგან იმ ჟამად მკა და კალოობა დაიწყო და ხალხი სულ იქ იყო მუშაობაზე, ამიტომ იგი იძულებული იყო მუშაობა შეეწყვიტა და ქალაქს დაბრუნებულიყო თავის მოქმედების ანგარიშის ჩასაბარებლად. მერძეობის მეორე ინსტრუქტორს დაწყებითი სკოლის მასწავლებელს პ. ტერ-გრიგორიანცს ჩაბარებული აქვს ყარსის და ყაგიზმანის ოლქები. რადგანაც ბარში ხოლერა გაჩნდა, ამიტომ მან თავისი მოღვაწეობა მთაში, ბინებზედ აიტანა. მესამე ინსტრუქტორი კი მერძეობის ოსტატი ა. ვ. ბესედნოვი განაგრძობს მუშაობას არდაგნის ოლქში.

**შავი ქვის მრეწველების თათბირი.** სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროსთან დაუარსებიათ მინისტრ ბ-ნ ტიმაშევის თავმჯდომარეობით საგანგებო სათათბირო იმის განსასჯელად, თუ რა ღონე იღონონ, რათა შავი ქვის მრეწველობა განვითარდეს კავკასიაში. თათბირში მონაწილეობას იღებენ წარმომადგენელნი სამინისტროებისა: ფინანსთა, შინაგან საქმეთა, საზოგადო, ვაჭრობისა და მრეწველობისა, სახელმწიფო კანტროლისა, კავკასიის ნამესტნიკისა და აგრეთვე წარმომადგენელნი შორაპნელ შავის-ქვის მრეწველთა კრების საბჭოსი, ფოთის ბირჟის კომიტეტისა, შავი-ქვის მადნის ექსპორტიორთა ჯგუფის რწმუნებულთა და ქალაქ ფოთის მოურავი".

**პოლიციის შესანახი ხარჯი.** ტფ. გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფ. გუბერნიის ყველა ქალაქის მოურავებს დაწვრილებით ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ფული გადაიხადეს მათ პოლიციის შესანახად. ეს ცნობები გუბერნატორმა უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც განუხილავს ზოგიერთ ქალაქის მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ პოლიციის ხარჯი ბევრი გვხდებაო. სამინისტროს განუზრახავს პოლიციის ხარჯი თანაბრად დააკისროს ქალაქებსა და სახელმწიფო ხაზინას.

**თავის მოკვლის გაიზრახვა.** 3 აგვისტოს ნადეჟდა პეტრეს ასულმა მარკელოვისამ, თავის მოკვლა განიზრახა და ხელოვნური ძმარი დალია. მოწამლული რკინის გზის სამკურნალოში გაგზავნეს. თავის მოკვლის განზრახვის მიზეზი გამოურკვეველია.

**ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 3 აგვისტოს დილის 9 საათიდან 4 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი, ხოლერის ნიშნებით —3. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—33 ავადმყოფი, მიემატა—6, მორჩა და გამოეწერა—3, მოკვდა—1, დარჩა—35.

**სასინოდო კანტორაში.** აგერ რამდენიმე დღეა, რაც ყოველ დღე იმართება სასინოდო კანტორის კრებები. ხშირად კრებების გამართვა გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ კანტორაში ბევრი საქმე მოგროვილა.

**შავ ჭირთან ბრძოლა.** ხოლერასთან მებრძოლმა ტფ. ბიურომ დაადგინა შეეკითხოს სხვა და სხვა ქალაქებს იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღეს მათ შავი ჭირის შემოტანის წინააღმდეგ. აგრეთვე დაადგინა გაგზავნოს ოდესაში ექიმი დეზინფექტორი ბ-ნი ხარაზოვი შავი ჭირის წინააღმდეგ ყველა ზომების შესასწავლად. ხარჯად მიეცეს 200 მანეთი.

**შემწეობა.** ქალაქის სასანიტარო აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა 200 მანეთით დახმარება აღმოუჩინოს სპარსელთა საქველმოქმედო საზოგადოებას ტფილისში ორ უფასო საჩაიეს შესანახად.

**უკვალოდ დაკარგული.** პოლიცმეისტერმა დაავალა უბნის ბოქაულებს და მაძებარ პოლიციის უფროსს ენერგიული ზომები მიიღონ ილია სამსონის ძის იმნაშვილის (17 წლისა) მოსაძებნად, რომელიც 27 ივლისიდან ტფილისში უკვალოდ დაიკარგა.

**ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 3 აგვისტოს ტფილისში ხოლერით ავად გახდა 7 კაცი. მათი გვარები: 1) თეკლე პარჟამოვისა, 2) დარია სიუდა, 3) მარიამ საათოვისა, 4) ბარბარე ვართანოვისა, 5) ნურაბა ვართანიანცისა, 6) ნიკოლოზ ტიტლოვი და 7) იაკობ პოშლესკი.

**ხოლერასთან მებრძოლ ბიუროში.** სამშაბათ, 3 აგვისტოს, ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა ხოლერასთან მებრძოლ-ბიუროს. რამდენსამე წვრილმან საკითხის განხილვის შემდეგ კრებამ მოისმინა სასანიტარო სამკურნალოს ინსპექტორის მოხსენება როგორც მოხსენებიდან სჩანს, ბ-ნს სტეფანოვს ივლისის განმავლობაში ხოლერასთან ბრძოლაში დაუხარჯავს, 19,339 მან. ამ ხარჯში არ შედის ის ფული, რომელიც გამგეობამ დახარჯა ამავე საქმეზე. ვარაუდით, აგვისტოში ხოლერასთან საბრძოლველად დაიხარჯება 15.000 მანეთამდე. რადგან ბოლო ხანს ტფილისში ხოლერამ შესამჩნევად იკლო, ამიტომ კრებაზე აღიძრა საკითხი ზოგიერთ ხარჯის შემცირების შესახებ. კრებამ დაადგინა დაავალოს ა. მ. არღუთინსკის დაწვრილებით გაეცნოს საქმის ვითარებას. და წარუდგინოს მას თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა ხარჯების შემცირებაა შესაძლებელი.

**მეპურეთა თხოვნა.** მეპურეებმა თხოვნით მიმართეს ტფ. გუბერნატორს. ისინი აღნიშნავენ, რომ აწ არსებულ ნიხრით პურის გაყიდვა ჩვენთვის საზარალოა და სთხოვენ ნიხრის შეცვლას.

**ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება.** წელს 50 წელიწადი შესრულდა, რაც კავკასიაში დაარსდა მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება. გადაწყვეტილია ეს დღე საიუბილეო დღესასწაულის გამართვით აღნიშნონ. იუბილეიმ მომწყობ კომისიის კრება დაწვრილებით პროგრამის შესამუშავებლად დანიშნულია შაბათს, 7 აგვისტოსთვის.

**მღვდლის დაპატიმრება.** 3 აგვისტოს თელავში ადმინისტრაციას შეუპყრია და ციხეში გაუგზავნია ზემოხოდაშენის მღვდელი ნესტორ სიდომონიძე. დაპატიმრების მიზეზი არ იციან.

**ყალბი პაპიროსი.** რიყეზე, სვიმონ თარხანოვის დუქანში ყალბი პაპიროსები აღმოაჩინეს. როგორც გამოირკვა, ეს პაპიროსები თარხანოვთან მიჰქონდა გეორგ სარუმოვს,

---

...ენელეობას და ამიტომ ის აზრი, ...და შეიძლება ჩვენ მათთან შეგვა-...ნ, ასჯერ უფრო შეურაც-...ნიველია ჩვენთვის, ვიდრე ბრალ-...ი, პოგრომში მონაწილეობისა.

...წყალენო ხელმწიფენო! აქამ... როცა მე ვლაპარაკობდი ხში-... თქვენ სახეზე ღიმილს ვამჩნევ-... ეს მე კარგად მესმის: ჩვენი ...ში ყოფნა, მომართვა თქვენდამი ...ულად და დასასრულ თვით არ-...ეს, ბ-ა ქურდების სისტემატიური ...ანიზაციისა, დელეგაციებით და ...მ კანასკნელთა წარმომადგენლე-...ნ. ყველა ეს იმდენად არა ჩვეუ-...ე-რივი მოვლენაა, რომ მართლა ...ვ-შეიძლება ღიმილი არ გამოი-...ს. მაგრამ მე ეხლა ვილაპარა-...კე-ჩემი გულის სიღრმიდგან. გარე-...ბისბა მოვიშოროთ თავიდგან და ...ის ვილაპარაკოთ კაცურად.

...ენ ყველამ ვიცით წერა-კითხვა, ...ვარს კითხვა და ვკითხულობთ ...და მარტო „როკამბულის, თავ-... მესავალს, როგორც ხშირად სწე-...თი ხოლმე ჩვენზე. ან იქნება თქვენ ...აცნიათ, რომ ჩვენ სისხლი არ ...მ-ეოდა და სირცხვილით არ ვი-...ს, ...ით უბედურ დამამცირებელ ...დოს დროს? ნუ თუ თქვენ ფიქ-...ბთ, რომ გულ-დამშვიდებული ...ქერით, როცა ჩვენს სამშო-...მეში მათრახია გამეფებული და ...რაცჰყოფას აყენებენ მას ველუ-...მე-და გონება დაბნეული ხალხი? ...ჯერო არ ირწმუნებთ იმასაც, ...ჩვენ—ქურდები გულის ფან-... მელოთ ვადევნებთ თვალს აწ გან-...ავისუფლებელ მოძრაობის ყო-...ან ნაბიჯს.

...ველს ჩვენთაგანს თქვენზე ნა-...ბად არ ესმის, პოგრომების ქეშმარიტი ვითარება. ყოველთვის, თვალსაჩინო უშვერობის ან და დიდი უსამართლობის ჩადენის შემდეგ, ვიღაცა, ხალხის აღელვების თავიდან ასაცილებლად, პოგრომებს მიმართავს ხოლმე.

მაგრამ ჩვენ კარგად ვხედავთ რომ დადგა ბიუროკრატიის უკანასკნელი დღე. ნება მიბოძეთ ეს გარემოება გაკვრით ავახსნა: ერთ ხალხს ჰქონდა უმთავრესი ტაძარი სადაც ფარდის უკან სცხოვრობდა სისხლის მწოვარი ღვთაება. მასთან მიჰქონდათ კაცის მსხვერპლი. ერთხელ გამბედავმა ხელმა ფარდა ჩამოგლიჯა და მასთან ყველამ დაინახა ღვთაების მაგივრად უზარმაზარი, გაუმაძღარი ბაჭაჭუა. მას სცემენ, სვრიან, ნაკუწ-ნაკუწად ჰქნიან, მაგრამ იგი უკანასკნელ ძალას იკრებს და მთელს ტაძარში აფათურებს თავის საზიზღარ კლანჭებს. ქურუმნი, ვინც-კი ხვდებათ ხელში, ამ კლანჭებში აძლევენ გასაგლეჯათ.

ბოდიშს ვითხოვ, იქნება ჩემგან თქმული არც ისე ადვილი გასაგები იყოს. მეტად აღელვებული ვარ. განმეორებით ბოდიშს ვითხოვ. მე განვაგრძობ. ჩვენ ყველგან გვნახავთ; დუქნებში, ბაზარზე, ღამის სათევში, ნავთ სადგურში, დიაღ, ჩვენ, მარტო ჩვენ შეგვიძლია აღვიაროთ ღვთისა და კაცის წინაშე, რა ტლანქად, უსირცხვილოდ და თვალსაჩინოდ, მოაწყო პოლიციამ ებრაელთა ჟლეტა. ჩვენ მათ კარგად ვიცნობთ გადაცმულებსაც და გადაუცმელთაც. მრავალმა ჩვენთაგანმა წინადადება მიიღო მათგან მონაწილეობა მიგვეღო ხალხის ჟლეტაში, მაგრამ საბედნიეროდ ჩვენში არავინ აღმოჩდა ისეთი, რომ თანხმობა გამოეცხადებინა.

თქვენ, რასაკვირველია, იცით როგორ ეკიდება პოლიციას რუ...თის საზოგადოება. მას ისინიც-კი არა სცემენ პატივს, რომელნიც სარგებლობენ პოლიციით. ჩვენ-კი ის ერთ სამად გვეზიზღება და გვეჯავრება. არა იმიტომ, რომ არა ერთხელ ვუწამებივართ მაძებარ პოლიციის განყოფილებაში, არა ერთხელ უდიერად უცემივართ, იმ აზრით რომ გამოვეტეხნეთ ან ამხანაგი გაგვეცა, არამედ მისთვის რომ ჩვენ ქურდებს რომელთაც სატუსაღოში ჯდომა არ აგვცილებია გაგიჟებით გვიყვარს თავისუფლება. ამავე მიზეზით ჩვენ გვძულს მეტუსაღეები იმ სიძულვილით, რომელთაც შეიძლება ეგრძნოს კაცის გულს. მე მარტო ჩემზე ვიტყვი. სამჯერ სიკვდილის კარამდე მიმიყვანეს პოლიციის აგენტებმა. ღვიძლი და ფილტვები აღარ მივარგა; დილაობით პირიდგან სისხლი ამომაქვს, მაგრამ ვინმემ რომ მითხრას, რომ პოლიციის უფროსის ხელის ჩამორთმევა მეოთხე წამებას გადამარჩენს, მე მაინც უარს ვიტყვი ამაზე.

და აი გაზეთები ლაპარაკობენ, რომ ასეთ იუდების ხელთაგან, ხალხის სისხლით გასვრილთაგან ჩვენ ფული მივიღეთ, არა ბატონებო, ეს ისე იი ცილისწამებაა, რომელიც ისარივით გვესობა გულში. არც ფული, არც მუქარა, არც სხვა რამე ჩვენ ვერ გაგვხდის მოყვარის მკლელად ან მათ ქომაგად.

—არას დროს! არა, არა! ყრუთ გაისმა უკან ორატორის ამხანაგების ხმა.

— მე კიდე მეტს ვიტყვი, განაგრძო ქურდმა. ბევრი ჩვენთაგანი ეხმარებოდა იმათ ვისაც სცემდნენ. ჩვენი ამხანაგი სისოი, რომლის ხელოვნება ეს არის ეხლა ნახეთ, ბინაღრობდა იმ დროს ებრაელთან. მთელ ბრბოს გაუმკლავდა თავის ბინის პატრონის დასაცველად. მართალია სისოი დიდი ღონის პატრონია და ეს ყველამ კარგად იცოდა მის ბინის ახლო მახლო, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ჩვენ ამხანაგი, როცა უგვანებს უმკლავდებოდა. სიკვდილს პირის-პირს უყურებდა. მეორე ჩვენმა ამხანაგმა მარტინმა, ორატორმა ხელით უჩვენა ფერმკრთალ წვერიან კაცზე, სიკვდილს გადაარჩინა უცნობი ებრაელი ქალი, რომელსაც ბრბო მისდევდა მოსაკლავად: ამისთვის მას თავი რკინით გაუტეხეს და ხელი ორ ალაგას მიამტვრიეს. დიდი ხანი არ არის რაც საავადმყოფოდან გამოვიდა. ასე იქცეოდნენ გულადნი და სხვები უძლურებისაგან სტიროდნენ ან ბოროტებისაგან კანკალებდნენ.

არც ერთ ჩვენთაგანს არ დაავიწყდება ის საშინელი დღეები და ღამეები, როდესაც ცეცხლის გრიალი, ქალების კივილი, დახოცილ ბავშვების გვამები ერთნაირად აძრწუნებდნენ ყველას, ვისაც-კი კაცის სული ედგა პირში; მაგრამ არც ერთ ჩვენგანს არა სჯეროდა, რომ უმეგზავსობის დამბამი პოლიცია და ბრბო არის. ეს პატარა, უგუნური, საზიზღარი მხეცებია, რომელიც ხელმძღვანელობს გაიძვერა და წინდახედული ძალა.

— დიაღ. ბატონო ვექილებო, განაგრძო ორატორმა, ჩვენ—ქურდებმა კანონიერად დავიმსახურეთ თქვენი ზიზღი, მაგრამ როცა თქვენ, უკეთეს ხალხს, დასჭირდებათ მოხერხებული, თამამი, გამგონი ხალხი, რომელიც შესძლებს მხიარულად და სიმღერით შეხვდეს სიკვდილს ქვეყნიერებაზე საუკეთესო სიტყვას—თავისუფლებას—ნუ თუ თქვენ არ მიგვიღებთ, ხელს გვკრავთ!?

— დასწყევლოს ეშმაკმა! საფრანგეთის რევოლუციის პირველი მსხვერპლი რისკიპი ქალი იყო. იგი შეხტა ბარიკადზე, კაბის კალთა აიკრიფა და დაიყვირა: „აბა ჯარის კაცნო, რომელი თქვენგანი გაბედავს ქალს ესროლოს?" დიაღ, წამოიძახა ორატორმა ხმა მაღლა და მაგიდაზე ხელი დაჰკრა.—იგი მოჰკლეს, მაგრამ ღმერთსა ვფიცავ მისი სიტყვები უკვდავნი არიან.

თუ თქვენ დიდებულ წამში ხელბა გვკრავთ, მაშინ ჩვენ, უმწიკვლონო ქერუბიმნო, ვიტყვით: „რომელია თქვენ შორის ისეთი, რომ ღირსი არ იყოს გაკიცხვისა, თუ რასაკვირველია, დაწვრილებით გავჩხრეკავთ თქვენ ცხოვრებას. ჩვენ კი მოგშორდებით თქვენ და ავაშენებთ საკუთარ მხიარულ და სასაცილო ქურდების ბარიკადას და დავიხოცებით ისეთ ხმა შეწყობილ სიმღერით, რომ თქვენც კი შეგშურდებათ,

უკაცრავად, მე გამიტაცა აზრმა, ვათავებ. თქვენ ბატონებო, კარგად ხედავთ რა გრძნობა გამოიწვია ჩვენ შორის გაზეთის ცილის წამებამ. ენდეთ ჩვენს გულწრფელობას და იხმარეთ ღონისძიება, რომ ეს სისხლითა და ტალახით კასვრილი ლაქი მოგვეწმინდოს. მე გავათავე.

იგი მოშორდა მაგიდას და ამხანაგებს შეუერთდა. ვექილები გრძნობით ეჩურჩულებოდნენ. მერე თავმჯდომარე ადგა და გამოუცხადა.

— ჩვენ გენდობით და ყოველ ღონეს მივმართავთ, რომ თქვენს კორპორაციას ავაცილოთ ის მძიმე ბრალდება, რომელსაც თავზე გახვევენ. ამასთანავე ჩემმა ამხანაგებმა დამავალეს გამოგიცხადოთ თქვენ, ბატონებო, ჩვენი ღრმესი პატივისცემა თქვენი მხურვალე მოქალაქობრივი გრძნობისათვის. პირადად მე ვთხოვ დელეგაციის წარმომადგენელს ხელი ჩამოვართვა და ეს ორი კაცი, ორივე მაღალი და დარბაისელი, ერთმანეთს მიუახლოვდნენ და მაგრად და ვაჟკაცურად მიესალმენ ერთმანეთს.

ვექილები თეატრიდგან იშლებოდენ. ოთხი მათგანი დერეფანში ჩამორჩა. ისააკ აბრამის ძემ ველარ იპოვნა თავისი ახალი რუხი ქუდი. მის მაგივრად ეკიდა მაუდის კარტუზი.

— იაშა! მოისმა გარედგან წელანდელი ორატორის სასტიკი ხმა. — იაშა, უკანასკნელად გეუბნები, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი!.. გესმის!?. ჰა?...

მძიმე კარი გაიღო. ქვიშის ფერ კოსტუმში გამოწყობილი ჯენტლმენი შემოვიდა. ხელში ისააკ აბრამის ძეს ქუდი ეჭირა და თან სახე უღიმოდა.

— ბატონო! ღვთის გულისათვის გვაპატიეთ. სასაცილო გაუგებრობა მოხდა. ერთ ჩვენ ამხანაგს შემთხვევით შეეცვალა ქუდი. თქვენია, ბატონო? ბოდიშს ვითხოვთ. მეკარევ, შენ რაღას უყურებ? ქუდი აქ ჰკიდე? ...ართვი. განმეორებით ბოდიშს ვითხოვ.

და ღიმილით და სალამით ქუჩაში გავიდა.

მ. ყ.

რომელიც ბოზარჯიანცის პაპიროს „სიმპატია“-ს კოლოფში აწყობდა ბოზარჯიანცისავე ფირმის „დრუჟბა“-ს პაპიროს, რომელიც 20 ცალი ერთი შაური ღირს. სარუმოვსა და მედუქნეს პასუხის გებაში აძლევენ.

✦ **ცეცხლი.** როგორც გვატყობინებენ, ყარაიაზისკენ ტყეები იწვის.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი, პეტრე ჰარაიას მიერ შედგენილი ამ სათაურით „დედა ენის ზოგიერთ სიტყვათა განმარტება“. წიგნი 54 გვერდს შეიცავს და ღირს 15 კაპ.

✦ 3 აგისტოს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 8 უპასპორტო

# წერილი ქართლიდან

ხოლერა სოფლად და უკანასკნელის უმწეობა—მოუმზადებლობა ამ ხენთან საბრძოლველად.—მოხავლით მოტყუებულნი.—ვაჭრები ქალებს ჰკრეჭავენ სოფლად...

საზოგადოდ სოფელი დღეს ისეა მოწყობილი, რომ ქალაქი უხვად სწოვს იმის მასაზრდოებელ სალსარს და სამაგიეროდ, სიკეთისაკენ ნაცვლად, უბრუნებს ათასგვარ შევიწროება-უბედურებას... როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისმა თვისი აზიური სტუმარი—ხოლერა ხელგაშლით დაარიგა გარეშემო სოფლებში. როგორც ყოველთვის, ეხლაც, სოფელი, უილაჯობისა და ქონებრივ სიბნელისა გამო, მოუმზადებელი დახვდა დაუპატიჟებელ სტუმარს, რომელმაც თავხედურად დაიწყო პარპაში. არავითარი საგრძნობელი ზომები, არავითარი მზადება და ამოდენა ხალხი ღვთის ანაბარა მიტოვებული. მაგრამ, უკაცრავად, ზომებიც მიუღიათ დროის შესაფერი,—ზოგან ბერდანკიან სტარაჟნიკებით უპირებენ ხოლერის ბაცილების გალალვას... რომ ეს ხუმრობა არ გეგონოთ, მოვიყვანთ ერთ მაგალითს. სოფ. ქვიშხეთის ჩვენ შეგვხვდა ორი მოსიარულე სტრაჟნიკი, რომლებიც „ხოლერის საწინაღმდეგო ზომების მისაღებად“ იყვნენ გამოგზავნილნი. დამახასიათებელია ის დიალოგი, რომელიც ერთ იმათგანს ჰქონდა ადგილობრივ გლეხთან.

— შენ ეი, სად არის მამასახლისის თანაშემწე?—შეეკითხა იგი მრისხანედ გლეხს. უკანასკნელმა ანიშნა, რუსული არ ვიცი და რას ამბობ, არ მესმისო.

— თქვე უბედურებო რა ბრიყვი და ველურნი ხართ, რომ აქმობამდე რუსული ვერ გისწავლიათო და შემდეგ, თარჯიმანის შემწეობით, უბრძანა, საჩქაროდ გამოენახა მამასახლისის თანაშემწე, რომელსაც იმათ ცხენებისათვის უნდა მოეტანა ბლომა საკვები, ერთი კაცი მიეყენებინა და საუზმეც დეემზადებინა...

და რამდენად მოედო სოფლებს ეს ხოლერა, ეს მკითხველმაც იცის თუნდა იმ ნაწყვეტ ცნობებიდგან, რომლებიც გაზ. „სახალხო გაზეთის“ კორესპონდენციებშია მოყვანილი.

ჩვენ რომ ამ ორიოდე დღის წინეთ სოფ. კასაში ჩამოვიარეთ, იქაურმა მასწავლებელმა გადმოქვცა, ორიოდე დღეში 13 კაცი უკვე გარდაიცვალა და ექვსიც წევსო. ქობისხევიდგან საზარელი ამბები მოდის; ხოლერა მძვინვარებს ეგრევე ქარელის და ალის საზოგადოებებში, ახალ-დაბაში და სხვა.

და ყველა ეს ადგილები, ან ღვთის ანაბარაა მიტოვებული, ან არა და, უკეთესს შემთხვევაში, ერთი ფერშალია ჩაყენებული, რამდენსამე სოფლისათვის ყველას რომ თავი დავანებოთ, ნეტავი სად არის ჩვენი ახალგაზრდობა,—მედიკი სტუდენტები, განა ეხლა ისინი აქ არ უნდა ტრიალებდნენ?! მაგრამ თქვენგან არ მიკვირს: აქ რომ სტიპენდიებს არ არიგებენ, რომ თავი გამოიკლან და ისე კი, რა ძალა ადგიათ „უხრიკავი საქმე, სახრიკავად გაიხადონ“...

—

სოფლები უკმაყოფილონი და დაღონებულნი არიან წლევანდელ მოსავლის ნაყოფიერობით. ვიდრე კი მკას და გალეწას შეუდგებოდნენ, ნათესებს მეტად კარგი პირი უჩანდა, ყველა მეტად უხვ მოსავლის მოლოდინში იყო. მაგრამ ჯერ კიდევ დაუმწიფებელ მარცვალს მოასწრო არა ჩვეულებრივმა სიცხე-გვალვამ და მარცვალი დააჭკნო. ძნების გალეწის შემდეგ მოსავალმა გლეხს ჩვეულებრივზედაც ნაკლები ნაყოფი მისცა და ჭმთლად ბზედ დაიქცა.

—

ჩვენ აქ გვინდა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი აღვნიშნოთ ქართლის სოფლის ცხოვრებიდგან. ბევრს აქაურ სოფლებში ეხლა იშვიათადღა შეხვდებით კარგ-თმიან ქალს. თურმე მრავალი მათგანი გაუკრეჭიათ აქეთკენ მოხეტიალე ვაჭარ ებრაელებს, რომლებიც ქალის კარგ თმაში იძლევიან 15—35 მანეთამდე. ეხლა კი მივხვდი რატომაც აქვსთ ხოლმე ისრე ზვინივით დაყენებული „პრიჩოსკა“ გოლოვინის პროსპექტზედ უდარდელად მოხეტიალე მანდილოსნებს! დიდება შენდა ღმერთო! თხების გაკრეჭა კი გამეგო, მაგრამ თუ ქალებსაც გაკრეჭავდნენ იმავე გამორჩენის მიზნით, არ ვიცოდი. არ ვიცოდი, თუ გაუმაძღარი და უდარდელი ქალაქური ცხოვრება ქალის ამ საუკეთესო სამკაულს—თმასაც კი არ შეარჩენდა ისრეთაც დაბეჩავებულს და გაჭირვებულს სოფლის მანდილოსანს!..

**გ. ა—ცხელი.**

# მოწერილი ამბები

**გორი.** კვირას, პირველ აგვისტოს, ქალაქის საზაფხულო საკრებულოს დარბაზში მაზრის ექიმმა კ. ელიოზიშვილმა წაიკითხა ქართულად ლექცია ხოლერის შესახებ. ყველამ კარგად ვიცით დღევანდელ დღეს რა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ამნაირ ლექციებს ხალხისათვის, ამიტომ მის მნიშვნელობის განმარტებას არ გამოუდგები, მხოლოდ მინდა მკითხველს ერთხელ კიდევ გავახსენო გორელების საარაკო გულგრილობა. აფიშები რომ გააკრეს, გვეგონა ხალხით გაიჭედებოდა დარბაზი, მით უმეტეს, რომ შესვლა უფასო იყო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. თორმეტი საათისთვის, როდესაც ლექცია უნდა დაწყებულიყო, ათიოდე კაცი და ქალი ძლივს დაჩანჩალობდა საკრებულოს წინ. ამ დროს კი სამიკიტნოების წინ შეზარხოშებული ხალხი ბლომად იყო და ზოგიერთი ჯდოუინობდა. „რრა, კაცო, რრის ხოლერა, რრა ხოლერა. დოხტურ..რ..ები გვატყუებენ საწყალ ხალხს. ხოლერა კი არა ეგ ანგელოზია და ჩვენი ცოდვებისთვის გვსჯისო“... ბაღის სკამებზედაც საკმაოდ ისხდნენ ქალაქელნი და უმნიშვნელო არშიყობაში არა თუ ლექცია, თავიანთ თავიც დავიწყებოდათ. პირველ საათზე რის ვაი ვაგლახით შეიკრიბა 70 მდე კაცი, უფრო ინტელიგენცია, და ლექცია დაიწყო. ლექტორმა ადვილად გასაგები ენით განუმარტა დამსწრეთ ხოლერის გაჩენის ისტორია, მისი სტუმრობა ჩვენში, მისი გამოწვევის მიზეზები, მისგან თავის დაცვა, საზოგადო და კერძო ბრძოლა მასთან, მისი ნიშნები და სხვ. თან წიგნიდან აჩვენებდა შესაფერ სურათებს. ლექცია საათ ნახევრამდე გაგრძელდა და დამსწრე საზოგადოებამ ლექტორი მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა. დიდი მადლობის ღირსია ელიოზიშვილი ამ შრომისთვის, ხოლო გორელები საყვედურისა, რომ სამიკიტნო და ქუჩაში მტვრის ყლაპვა არჩიეს ლექციის უფასოდ მოსმენას და მით საბოლოოდ დაამტკიცეს რომ ტყუილია მატრაბაზობა, რაც არ უქნია ღმერთს, არ უქნია.

ერთი შენიშვნა ექიმ ელიოზიშვილსაც. ხალხთან ბაასის დროს მან სხვათა შორის სთქვა—მეჯვრისხევის წყალი ძლიერაა მოწამლული ხოლერის ბიბრიონებითაო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ხომ ამ წყლით ირწყვის ჩვენი სამეფო ქუჩა? თუ წყალი მოწამლულია ნუ თუ სავერთხე არ მოელის იმ მრავალ ხალხს, რომელიც მუდამ სადამოს ბლომად დასეირნობს ხსენებულ ქუჩაზე? ხომ თქვენ თვითონ მოგეხსენებათ რა მტვერი დგება ხოლმე გორის ქარის წყალობით? თქვენ თვითონ არ გვითხარით ლექციაზე ქუჩიდან ადვილად შეიძლება შევიტანოთ სახლში ხოლერის ბაცილები ან ფეხით, ან ტანისამოსით, ან და ხელის ჩამორთმევითაო? მუდამ დილაც მრავალი მედუქნე და მუშა იბანს ამ წყალში პირს. მაშასადამე, უმჯობესია სულ დაწყდეს წყალი ამ არხებში და ქუჩა სხვა რამე საშუალებით მორწყონ.

1 ივლისს დილით ხოლერით გარდაიცვალა არდოროთის საზოგადოების მთავრობის მამასახლისი მამიაშვილი. მამიაშვილი წინა დღეს სოფლიდან ჩამოსულა საქმისთვის. **სან-გან-ძე.**

—

**ქ. ქუთაისი.** ხოლერა არა ხუმრობს. ყოველ დღე ექვსი შვიდი ხდება ავად, რაც პატარა ქალაქისთვის მეტად საგრძნობელია. უბედურება ის არის, რომ დიდი პროცენტი ვერ იტანს ავადმყოფობას და კვდება. რა უნდა იყვეს ამის მიზეზი, რომ აქ ქუთაისში ხოლერიანთა საერთო რიცხვის დიდი ბარაკის სიახლოვე—მოუწყობლობით ანუ იქ მყოფი პროცენტი იხოცება, სხვაგან კი არა. ეჭვი არაა, ან ბარაკი ვერაა კარგად მოწყობილი, ან ბარაკის მოსამსახურენი უვიცნი არიან და ავადმყოფს რიგზე ვერ უვლიან. თორემ ქუთაისს რა დანაშაულობა მიუძღვის, რომ აქ ასე სასტიკია ხოლერა, ქუთაისის თვითმართველობა რასაკვირველია დარიბია, მაგრამ საშუალებათა დასაზოგავად სხვა რამეში კასწიოს ეკონომია და ბარაკისა და საზოგადოთ ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე კარგად მოაწყოს. მაგალითად, კარგად არაა მოწყობილი ავადმყოფთა ბარაკში მიყვანის საქმე. ავადმყოფის ამყვანად ჰყავთ ვიდაც სოფრომა, რომელიც ისეთ ეტლში ჰყავთ მოთავსებული, რომ იმის ხმას ორის ვერსის სიშორეზე გაიგონებთ. მთელი ქალაქი ყურებს დაიცობს ხოლმე, როდესაც გაიგონებს ქალაქის ეტლის ბრიგინს. ამ ეტლის ბრიგინი უფრო დიდ შიშსა ჰგვრის მცხოვრებთ, ვიდრე ხოლერის ვიბრიონი.

ისედაც შეშინებულ ხალხს მთლათ აუშალა ნერვები და დაეცა სულით. ცოტა მეტეღი რომ წამოსტკივდეს ვინმეს და უბრალო ფაღარათი აუტყდეს, შიშით სული მისდის. ადვილი წარმოსადგენია ასეთ ავადმყოფის მდგომარეობა, როდესაც ყურს მოჰკრავს სოფრომას ეტლს. ეს დალოცვილი სოფრომაც, არის თუ არა საჭირო, დაახრიგინებს ეტლს ქუთაისის ყველა ქუჩებში და თუ ავადმყოფი ჩაიგდო ხელში ყველა დიდრონ ქუჩებს ჩამოატარებს. აი მაგალითი: 31 ივლისს ავად გახდა ხოლერით რეალურ სასწავლებლის მცველი. ვინც ქუთაისის მდებარეობა იცის, იმას ისეც ეცოდინება, თუ რეალური სასწავლებელი სად არის. ბარაკი არის თეთრ ხიდს გაღმა ორი ვერსის მოშორებით. სასწავლებლიდან წამოყვანილი გამოატარეს გიმნაზიის ქუჩაზედ „თეატრთან“, როდესაც პირდაპირი გზა იყო ვიტუშინსკის აფთიაქიდან, რომელიც ნახევარ ვერსის მანძილს მოსჭრიდა. შუადღის სამი საათი იქნებოდა, სოფრომას გულზედ მიურდნობილი ჰყავდა ავადმყოფი, თავდია ეტლში ოცდა თვრამეტ გრადუს სიცხეში. წარმოიდგინეთ ავადმყოფის მდგომარეობა სამი ვერსის მანძილზედ, თავ-დია დანჯღრეულ ეტლში ქუთაისის ქვაფენილზედ, ივლისის სიცხე-პაპანაქებაში.

საჭიროა ქალაქის გამგეობამ თუ ეტლი მთლათ არ გამოსცვალა, ბორბლები მაინც გამოუცვალოს და რეზინის გაუკეთოს და ზევიდან ეტლს რამე თავსაფარი თავსახურავი მოუწყოს, თორემ ასეთ პირობებში ავადმყოფი იშვიათად გადარჩება.

უყველ კვირას ხალხს უფასო ლექციებს უკითხავენ, ხოლერის შესახებ. სასურველია რომ ამ ლექციებს დიდხანს არ გააჩიანურებდნენ, მოკლედ და რაც უსაჭიროესი არის ხოლერასთან საბრძოლველად იმას წაიკითხავდნენ, თორემ წინა კვირის ლექციაზედ ხალხი ამბობდა მაინც უსიამოვნო ყოფილა ჩვენი საქმე, ლექტორის დარიგებას ასრულება ყოვლად შეუძლებელიაო. ზოგი წყლის ადუღებასაც თავს ანებებს. სასურველია რამდენიმე ადგილას, უფასო სახაიები მოაწყონ.

**ლ—კო კ—ი.**

—

**ს. საზანო.** გაზ. „ნოვაია რეჩის“ მე 154 ნომერში დაბეჭდილი იყო შემდეგი ცნობა: დამით 30 ივნისს ს. საზანოში გაძარცვეს მაცხოვრის ეკლესია. წაიღეს ძვირფასი ოქროს ხატი ღირებული 12000 მან. ორი ვერცხლის ჯვარი—ღირებული 220 მ. აღნიშნული ხატი და ერთი ჯვარი თვალ მარგალიტებით იყო მორთული. წაიღეს წვრილი ნივთები და 8 მან. ფული დაკეტილი ყურიდან. მალე გამოირკვა, რომ ბოროტ-მოქმედნი იყვნენ შოპტს გარეშე მყოფი სტრაჟნიკი ოსმან-ბაჯი-ოღლი, გრიგოლ მღივანი, ძმანი ვაჭარაძეები და როგორც ამათი ხელის მომწყობი -კონსტანტინე მღივანი“. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. საქმე ასე იყო: მღვარლი თუ არა ეკლესიის გაძარცვის ხმა დიდი ეჭვი მიიტანეს ეკლესიის დარაჯზე ილიკო თამბერიძეზე და მედუქნე ისიდორე კუპატაძეზე. ბოქაულის თანაშემწემ იმავე დღეს დააპატიმრა ეს პირები და გაგზავნა სატუსაღოში. თაბერიძე გამოტყდა და დაასახელა ზემოთ აღნიშნული კუპატაძე, ოსმან-ბაჯი-ოღლი და სამი შეიარაღებული უცნობი პირი რომელთაც სახე შეხვევდი ქონდა და ვერ ვიცანიო.

ხუთი დღის შემდეგ ახლად ჩვენების ჩამორთმევის დროს, მათ შესცვალეს თავისი ჩვენება და ხელი დაადვეს კონსტანტინე და გრიგოლ მღივნებს. ცხადია ის გარემოება, რომ უკანასკნელების დასახელება მღივნების პირადი მტრების საქმეა და როგორც უსაფუძვლო ცილის წამება, გამომძიებამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია და მღივნები თავისუფალნი არიან.

გამოძიება, რომელიც მალე დამთავრდება, ნათელს მოჰფენს ამ საქმეს და საზოგადოებაც დაინახავს ვინ სძარცვავს და აწიოკებს ხალხს,

**საზანელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**სოფ. დიდი-ჯიხაიში.** (იმერეთი) შაბათს, 31 ივლისს, დიდი-ჯიხაიშის ორკლასიან სასწავლებლების ბაღში მ ა. ლორთქიფანიძის მეთაურობით გაიმართა სეირნობა და სეირნობის შემდეგ ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ იმავე სკოლის დარბაზში მთავრობის ნებართვით წარმოდგენილ იქმნა დიდი-ჯიხაიშის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს სასარგებლოდ კორეევის 3 მოქმედებიანი დრამა „ცხოვრების გმირი“ თარგმანი ზ. ჩიკვაიძისა და ვ. გუნიას ერთ მოქმედებიანი კომედია „ადვოკატთან“. მიუხედავათ სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზებისა, წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. სეირნობა დაიწყო 5 საათიდან და გაგრძელდა 10 საათამდის. 10 საათზედ დაიწყო წარმოდგენა. პიესა „ცხოვრების გმირი“, საკმაოდ ძნელია და, უმთავრესი, არც მაინც-და-მაინც კარგი ენითაა ნათარგმნი მაგრამ სცენის მოყვარეთ თავი ისახელეს და წარმოდგენამ სასურველად ჩაიარა შეუდარებელი იყო კ. ს. პეტრეს როლში, საზოგადოება ალტაკებაში მოიყვანა, კარგი იქნებოდა ქ-ნი ლ. ბ. (ზინაიდა), რომ მის თამაში უფრო-გრძნობიერი ყოფილიყო, რაც წარმოდგენისადმი უჩვეულოთ მოკიოების მიზეზით აიხსნება. მშვენივრათ შეასრულეს თავიანთ როლები ქ-ნ ნ. ჩ. (ამალია) და ე. ლ. (მარია), კარგი იყო ქ-ნ თ. წ. (ლუჩია) რომელმაც მოლოდინს გადააჭარბა და საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზედ. დანარჩენები საერთო თამაშს ხელს უწყობდენ. დიდებული ადვოკატი გამოდგა ა. ჩ. კარგათ ითამაშა აგრეთვე თ. წ. (ნაზინაი), რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა თავისი როლი. ქ-ნი ნ. ჩ. ნამდვილი ანჩხლაძე იყო. კარგად შეასრულა ს. ჩ, მოსამსახურის როლი. ასეთ როლებში მას დიდი უნარი უჩანს. დანარჩენები ამ კომედიაშიც ანსამბლს ხელს შესაერად უწყობდნენ.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ნაკლებათ არის ისეთი სცენის მხრით წინ წაწეული სოფელი, როგორც დიდი-ჯიხაიში, რასაც აქაურ ინტელიგენციის მუდმივი შრომის და ენერგიის ნაყოფია. აქ საშუალო რიცხვით წელიწადში იმართება არა ნაკლებ ათი წარმოდგენისა, მიუხედავად იმისა, თვითეული მათგანი უსაზღვრო ჯაფას თხოულობს, იმის გამო, რომ აქამდის ვერ მოგვიხერხებია თავისთვის სათეატრო სახლის აშენება და ამით თითქმის სანახევროდ შრომის შემსუბუქება. თუმცა არა ერთხელ მოგვსლია თავში სახლის აგების აზრი ბევრჯერაც სერიოზულად გვიბაასნია ამაზე მაგრამ დღეს დღეობით საქმე მაინც გაჩერებულია. არ შეჰფერის ასეთ ინტელიგენციიდ მდიდარს სოფელს ასეთი საქმისადმი უყურადღებობა. დროა სიტყვა საქმედ ვაქციოთ. **Топ.**

—

**თელავი.** 23 ივლისს დასდგეს „ლალატი“. ვისაც უნახავს თელავის თეატრი და დეკორაციები დაგვეთანხმება, რომ ამ პიესის დადგმა იქ ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ სცენის მოყვარეებმა მაინც თავისი არ დაიშალეს და დასდგეს „ლალატი“. არსად გვინახავს, რომ მთელ პიესას ერთს ენაზე ასრულებდნენ, ხოლო რომელიმე როლის აღმსრულებელი კი სხვა ენაზე ლაპარაკობდეს. თელავში, რასაკვირველია, ყველაფერი შეიძლება. ეს ორიგინალური ქალაქია, და აბა რას დაგვიდევს იმას, რაც სხვაგან არ არის. მოუვიდათ ჰკუაში—დასდგეს „ლალატი“. რა უყო რომ ყველა მსახიობნი ქართულად ლაპარაკობდნენ, ხოლო ოთარბეგის როლის შემსრულებელი კი სომხურად.

ადვილი წარმოსადგენია რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა ეს აჭრელებული წარმოდგენა. თვით პატივცემული ავტორი პიესისა—სუმბათაშვილი შეუძლებლად დაინახავდა ენის შერევას, მაგრამ თელავში კი შესაძლებლად იცნეს, საზოგადოებაც დიდძალი დაესწრო. **დავიწყებული.**

# რუსეთი

✦ **მაჰმადიანთ განმანათლებელი საზოგადოება.** ქალაქ ტროიცკის მაჰმადიანთა ერთს ჯგუფს უთხოვნია ორენბურგის გუბერნატორისათვის ნება მიეცათ დაეაარსოთ მაჰმადიანთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის მიზანია—ცოდნის შუქი შეიტანოს ადგილობრივ მაჰმადიანთა შორის. საზოგადოება ეცდება გააფართოვოს და გაუმჯობესოს სკოლაში სწავლა, მოაწყოს და გამოაკეთოს კურსების ლექციების კითხვა, დაარსოს წიგნთსაცავ-სამკითხველოები, კურსები, ლექციები და სხვ.

✦ **სამოსწავლო საქმეები.** კიევის უნივერსიტეტში ჯერ ჯერობით (29 ივლისამდე) ებრაელთა 200 თხოვნაა მიღებული. ამ რიცხვიდან უნივერსიტეტში ჩარიცხავენ მხოლოდ მესამედს, თუმცა უნივერსიტეტში 300 თავისუფალი ადგილია, და ქრისტიანთაგან საკლები თხოვნაა შეტანილი ამ ვაკანსიების დასაჭერად.

სახალხო განათლების სამინისტრომ სახელმწიფო კანტროლთან შეთანხმებით, ნება მისცა სახალხო სკოლების დირექტორებს **უფასოდ** ასწავლონ თავიანთი შვილები სავაჟო საშუალო სასწავლებლებში.

პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიაში გამოკრულია განცხადება, ვინც სიმწიფის ატესტატზე იჭერდა ეგზამენს და ვერ ჩააბარა გამოცდა ნება აქვს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ხელმეორედ ჩააბაროს ეგზამენი.

✦ **პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.** მიიღეს: მექანიკურსა, ელექტრო-მექანიკურსა, და საინჟინერო საამშენებლო განყოფილებაზე თითოზე 160 სტუდენტი, გემთ-საამშენებლოსა—70, ეკონომიურისაზე 550 და ორივე სამეტალურგიო განყოფილებაზე — 160. სულ მიიღეს 1260 კაცი, თუმცა თხოვნა მიღებული იყო. 3000. ყველა განყოფილებებზე დიდი კონკურსი იყო, ამათში, თანახმად მინისტრთა საბჭოს ცნობილ განკარგულებისა მიიღეს მხოლოდ 4 ებრაელი; სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

✦ **დეპუტატ ტიმოშკინის ბიოგრაფია.** „სარატ. ვესტნ.“-ს ცნობით; კავკასიის რუსთა დეპუტატი ტიმოშკინი რუსი როდი ყოფილა. იგი [illegible] სოფ. ჩინდასიდან, [illegible] გადოებისა, პეტროვის მაზრისა.

თავისი სამსახური ფ. ფ. ტიმოშკინმა დაიწყო სარატოვში; აქ იგი მსახურობდა ვინმე პაპოვის ახლად არსებულ სასტუმროში, დეოფნის მსახურად. 1890 წელს ტიმოშკინი დაითხოვეს სასტუმროდან. ერთ ხანს უადგილოდ იყო, ბოლოს ასტრახანს გასწია.

ასტრახანში ხელზე მოსამსახურედ იყო სხვა და სხვა სასტუმროებსა და ტრაქტირებში.

1892 წელს ზაფხულს იგი დაბრუნდა სარატოვს და ვინმე ოჩკინის ბაღში დალაქიად, მაგრამ აქ დიდ ხანს გული დაუდგა და ისევ ასტრახანს გაეშურა. მ[...] იხადა სამხედრო ბეგარა და შემდეგ ტ[...] ლისს ესტუმრა და ჭურჭლეულობის [...] ვაჭრო ნოქრის ადგილზე დადგა. ტიმოშკინმა „ჭეშმარიტ რუსთა“ ყურადღება [...] იმაახურა. დღევანდელ პირობებში იშვი[...] ნოქარს შეხვდება ასეთი ბედი. კავკასიის რუსთა საზოგადოებამ იგი თავის წარმომადგენლად გაგზავნა სახელმწიფო სათათბიროში. მორდველებს ეგონათ, რაკი ტიმოშკინი თავის თვალით იხილავდა სოფლის გაჭირვებას სახელმწიფო სათათბიროში გამოესარჩლებოდა ღარიბ ხალხს, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ და ამ ხანს ძალიან გულ გატეხილები არიან თავიანთ „მორდველზე“.

✦ **ხოლერა რუსეთში.** მთავრობის გაზეთ „პრავიტ. ვესტნ.“-ში მოთავსებულია მთავრობის ცნობები შესახებ ხოლერის გავრცელებისა: სენის დაწყებიდან ვიდრე 24 ივლისამდე მთლად რუსეთში ავად გამხდარა ხოლერით 81,083 კაცი, გარდაიცვალა 35,759.

პირველი ადგილი ხოლერიან გუბერნიათა შორის უჭირავს ყუბანის ოლქს, სადაც ავად გამხდარა 15,168, გარდაცვლილა 7,883. დონის ოლქში ავად გამხდარა 12,620, გარდაცვლილა 5,759. ეკატერინოსლავის გუბ. ავად გამხდარა 85[...] გარდაცვლილა 3753. ხერსონის გუბ. ავად გამხდარა 5,780, გარდაცვლილა 35[...] სამარის გუბ. ავად გამხდარა 3311, გარდაცვლილა 1441; სტავროპოლის გ[...] ავად გამხდარა 2993, გარდაცვლილა 14[...] ტავრიდის გუბ. ავად გამხდარა 27[...] გარდაცვლილა 1322; დონის როსტოვ[...] საქალაქ მოურაობის საგრადონაჩალნი[...]ში ავად გამხდარა 2885, გარდაცვლ[...] 977,

რა გასაკვირველია ხოლერის ასე[...]დება და გაძლიერება, როცა რუს[...] 1082 ქალაქიდან კანალიზაცია აქვ[...] ქალაქს, ხოლო წყლის მიღებია მო[...]ბილი—192 ქალაქში. („რ. ს.“)

# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუ[...] ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხი[...] ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღ[...]თი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარი[...] უფასოდ იღებს. (6.–[...]

**დოქტ. ნავასარდიანის**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქ[...]რგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად[...]

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალ[...] შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბე[...] ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურში[...] ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კ[...] სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინ[...] ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. [...]ნაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. [...] და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—[...] ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6[...] ე საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6[...] საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. [...]განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, [...] სულტაციები და ოპერაციები შეთა[...]ბით. ხამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდ[...]

**ს. კარდენახი**

ვაუწყებ ღვინის მოვაჭრეებს, რომ სოფელ კარდენახში მაქვს [...]კის ქარხანა, საკმაოდ ბევრი ბოჭკა და მასალა მაქვს დამზადებული. [...]ოეთვე ქარხანასთან მაქვს ბოჭკის ორთქლით სარეცხი განყოფილება, [...]საც სურს გამოგზავნოს ბოჭკები შესანახად, გასარეცხად თუ შესაკ[...]ბლად. წელს ღვინის მოსავალს უკეთესი პირი უჩანს და იმედია ბოჭ[...] ბევრი დასჭირდებათ.

ჩემი ადრესი: სოფელი კარდანახი, სახლი თავად აფხაზისა, ეს[...] სეხნიაშვილი და ამხ.

(2—367—[...]